საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბარდავი

ბარდავი (არაბ.–ბერდაა, სომხ.–პარტავი), ისტორიული ქალაქი ახლანდ. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ყარაბახის ველზე.

მისი ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი ქ. ბარდიდან რამდენიმე კილომეტრზე, როგორც ჩანს, ქალაქი აქ უკვე IV ს-ში არსებობდა. V ს-ში ბ. ალბანეთის (იხ. ალბანეთი კავკასიისა) სატახტო ქალაქი გახდა, VIII ს. დასაწყისში არაბებმა დაიპყრეს. ქალაქი საქარავნო გზების შესაყარზე მდებარეობდა და მსხვილი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი იყო. ბ-ზე გადიოდა ერთ-ერთი საქარავნო გზა, რ-იც თბილისს ირანთან აკავშირებდა. X ს-ში ბ. სალარიდებს ემორჩილებოდა. 1067, როცა სულთან ალფ-არსლანის ერთგული მოკავშირე, ანისის გამგებელი აბულასკარი საქართველოს შემოესია, ბაგრატ IV-მ ამის საპასუხოდ 1067–68 არანს ილაშქრა და ბ. დაარბია. 1192–93 ქართველთა ლაშქარმა კიდევ ერთხელ დალაშქრა ბ. და დიდი ნადავლი იგდო ხელთ. შემდგომ საუკუნეებში განუწყვეტელი ომების შედეგად ქალაქი დაკნინდა. XIII ს-ში თათარ-მონღოლთა ლაშქრობების შემდეგ ბ. სოფლად გადაიქცა.

ქალაქის ადგილას შემონახულია შუა საუკ. ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლები.